



Agreement

on

GEORGIAN-GERMAN Joint Programme for Master and PhD Students

Jointly funded by:

Helmholtz Centers (GERMANY):

Forschungszentrum Jülich GmbH (FZJ),

Helmholtz-Zentrum Dresden - Rossendorf e. V. (HZDR), and

GSI Helmholtz-Zentrum für Schwerionenforschung GmbH (GSI)

and

LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (FOUNDATION)

Based on the Memorandum of Understanding (MoU) concluded: (i) July 2020, between LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) (hereinafter referred to as “the FOUNDATION”) and the Helmholtz Center Forschungszentrum Jülich GmbH (FZJ/Germany); and (ii) May 2022, MoU between the Helmholtz-Zentrum Dresden - Rossendorf e. V. (HZDR/Germany) and Ministry of Education and Science of Georgia (MES); and (iii) January 2023, MoU between the GSI Helmholtz Zentrum für Schwerionenforschung GmbH (GSI/Germany) and Ministry of Education and Science of Georgia (MES); (hereinafter all 3 centers referred to as “GERMANY”) the PARTIES agree to extend and update their Joint Research and Education Programme (hereinafter referred to as “the GGSB Programme”).

1. Scope

The PARTIES agree to implement the GGSB Programme in order to further intensify and strengthen the cooperation between Germany and Georgia and provide support to Master and PhD students from Iv. Javakhishvili Tbilisi State University (TSU), Georgian Technical University (GTU), Ilia State University (ISU), Agricultural University of Georgia (AUG), Free University of Tbilisi (FreeUni) and Kutaisi International University (KIU) (or any other Georgian university by mutual consent of HELMHOLTZ Centers (FZJ, HZDR, GSI) and this university) to ensure their internships in Germany.

Legal basis:

- Memorandum of Understanding between the Helmholtz-Zentrum Dresden - Rossendorf e. V. (HZDR), and the GSI Helmholtz Zentrum für Schwerionenforschung GmbH (GSI) and Ministry of Education and Science of Georgia (MES, Georgia) on ***Research, Education and Knowledge Transfer Cooperation*** (signed consecutively in May 2022 and in January 2023) - Annex 1 and Annex 2;
- Memorandum of Understanding between Forschungszentrum Jülich GmbH, (JÜLICH, Germany) and Ministry of Education and Science of Georgia (MES) on ***The long-term scientific and educational cooperation in the framework of the Georgian-German Science Bridge (GGSB)*** (signed in April 2020) - Annex 3;
- Agreement on the ***JÜLICH-GEORGIA Joint Programme for Master and PhD Students*** jointly funded by Forschungszentrum Jülich GmbH and LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) (signed in July 2020) - Annex 4.

2. Purpose and Objectives of the Programme:

2.1 Purpose of the Program is to:

- enable Georgian students the access to the world-leading scientific German research centers of Helmholtz association (FZJ, HZDR, GSI) to experience and conduct frontier research in fundamental and applied sciences.
- assist German centers in recruiting the best and the brightest students from Georgian universities and carry out Master and PhD thesis work for further progress of Georgian science.

Upon completion of the internship, the students are expected to return back home to Georgia to apply to and share with the local universities and research institutes their skills and knowledge gained in Germany.

2.2 Objectives of the Programme:

The FOUNDATION and German centers will provide Georgian Master and PhD-students the opportunity to carry out a Master/PhD thesis related research at German centers (FZJ, HZDR, GSI) during their internships, in order to establish long-term cooperation with researchers at above mentioned centers as well as in German universities or non-university research institutions in the following agreed research fields:

- a) Mathematics;
- b) Information Technologies;
- c) Natural Sciences;
- d) Engineering Sciences;
- e) Life Science and Health.

2.3 Target groups:

2.3.1 Up to **eight** positions annually for **Master students** holding a Bachelor degree (or equivalent) in the agreed research fields in order to conduct research for their Master thesis at German centers (FZJ, HZDR, GSI) or at German universities cooperating with the Helmholtz association centers.

2.3.2 Up to **six** positions annually for a **PhD students**, holding a Master degree (or equivalent) in the agreed research fields for preparing a PhD thesis at Helmholtz centers (FZJ, HZDR, GSI) or at German universities cooperating with the Helmholtz association centers.

2.3.3 The number of positions will be agreed upon before the call is announced between all partners of the agreement.

3. Duration and validity:

3.1. The agreement shall enter into force signature by both parties and is valid until 31st December 2026.

3.2. The duration of the internship for Master students should be in compliance with curricula of their home university.

3.3. The internship for PhD students is granted for a period up to 3 years with a possible prolongation up to 6 months. The prolongation should be agreed upon between the Foundation and Helmholtz Centers and based on the formal request of the universities/research institutes involved. In case of prolongation, the

Foundation shall not be liable for providing any additional funding. The accumulated duration of research stays at German centers in Germany or at cooperating German Universities must not be shorter than 8 months in each academic year and/or 4 months in each academic semester.

4. Funding:

The grants, jointly funded by the FOUNDATION and GERMANY, consist of:

4.1. Targeted grant funding for the physical persons defined in the articles 2.3.1 and 2.3.2 of this Agreement.

Grant installment, totaling 934 € per month for Master students and 1468 € per month for PhD students and includes monthly allowance, health, accident and Personal Liability Insurance;

4.2. Travel grants for the physical persons defined in the articles 2.3.1 and 2.3.2 of this Agreement includes:

- a) One travel annually within EU for participation in a scientific event with high relevance to the topic of the Master/PhD study;
- b) Up to two return travels annually between Georgia and Germany (economy class).

4.3. Targeted grant funding is allocated equally by German centers (50%) and the FOUNDATION (50%).

4.4. The travel expenses within EU are covered by German centers.

4.5. Return travels between Georgia and Germany is funded by the FOUNDATION.

5. Application submission procedure:

5.1. By introduction of, Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgian Technical University, Ilia State University, Agricultural University of Georgia, Free University of Tbilisi (FreeUni) and Kutaisi International University or any other Georgian university (by mutual consent of German centers and this university), the potential beneficiary of the Programme should submit to the FOUNDATION electronic version of application and its hard copy, in English and in Georgian languages.

5.2. Application should contain the following documents:

- a) Filled application form – cover sheet (in English and in Georgian);
- b) Official invitation letter of the host institute (supervisor) of German center;
- c) Letter of recommendation of the sending university (supervisor) in Georgia (in English);
- d) Certificate of the highest previous scientific degree (Georgian and English/German versions);

- e) Certificate of ability to communicate in German and/or English language;
- f) Tabular curriculum vitae (CV);
- g) List of publications (if available) in English with titles, coauthors, place and date of publication, other necessary details;
- h) Research plan (1 – 2 pages in English), agreed with the host institute of Germany, confirmed by the official letter on headed paper of the German center and signed by supervisor from German host institute.

5.3. The FOUNDATION process only complete applications. Incomplete applications will be rejected on formal grounds.

6. Granting procedures and reporting:

- 6.1. The FOUNDATION provides eligibility check of submitted applications including availability of all documents listed in the article 5.2.
- 6.2. In case of (technical) inaccuracy, the FOUNDATION requests applicants to resubmit corrected document within 5 days span.
- 6.3. The FOUNDATION prepares the integrated list of proposals submitted by Master and PhD students (up to 6 proposals for PhD, up to 8 proposals for Master) from the universities mentioned in the article 5.1 and send it by e-mail to HELMHOLTZ institute together with the complete set of respective documents for consideration and approval.
- 6.4. Final endorsement on submitted applications is decided by German institution.
- 6.5. Based on documents approved by GERMANY, the FOUNDATION concludes grant agreements with the respective persons (Master and PhD students) and allocates 50% of targeted grant funding (monthly grants) as well as covers up to two return travels expenses from Georgia to Germany.
- 6.6. After finishing the Programme, in 21 days upon their arrival to Georgia, grantees - Master and PhD students, should submit to the FOUNDATION brief report (in form of a template prepared by the FOUNDATION) on implemented research. In case of funding the return travels between Georgia and Germany, grantee should submit to the FOUNDATION the financial report (together with respective documents/copies).
- 6.7. Together with the report(s), in the same period, grantees should submit to the FOUNDATION the letter (in English) of their supervisor at the host institute of GERMANY containing his/her evaluation of the grantees research in the frame of the Programme.
- 6.8. Each Party shall cover of its staff in accordance with applicable legislation with respect to social security, industrial accident and industrial disease schemes to which it is affiliated and shall carry-out the formalities for which is it responsible.

During their stay at the host institutes' premises the visiting personnel shall be subject to the safety and other non-disciplinary rules and regulations in force at the host Partner The personnel shall follow the technical instructions given by the designated representative of the host institute. The host institute shall be entitled to refuse access or remove from its site any personnel who fail to comply with applicable regulations.

Except in case of gross negligence or intent each Party shall bear its own loss and damage in connection with exchange of personnel under this agreement. It is understood, however, no Party shall be liable

to another Party for any indirect or consequential loss or damage. In case of injury to any person, the legislation of the state in which the injury is committed shall apply.

7. Additional conditions:

7.1 Either Party may terminate this Contract at any time by giving thirty (30) days written notice to the other Party. Any dispute arising between the Parties concerning the interpretation or application of the present Contract shall be resolved through negotiations.

7.2. This Contract is drawn up in four copies in English, and four in Georgian language. Both documents are equally authentic.

7.3. Amendments and / or additions to the contract may be made only by mutual agreement of the parties in writing, which is an essential part of the contract. In case of change in the requisites of the parties to the contract, it is sufficient to send only a written notice to the other party by the party and therefore does not require an amendment in the contract.

8. Force Majeure:

The terms of the contract or any of them may be suspended, changed or revoked due to force majeure circumstances and will not be considered as non-compliance or breach of the terms of the contract and therefore will not result in liability of the parties to the contract.

9. Export Control and PEACE Clause

9.1. All activities under this Agreement shall be conducted in compliance with applicable national, European, US-American and international provisions of foreign trade legislation, including embargoes and/or other sanctions.

9.2. In transferring goods, software, technical support, classified information and/or technologies, each of the Parties shall fully comply with the applicable national export control laws and regulations (Germany and Georgia) as well as any other applicable European and international export control laws, and obtain all necessary approval if required by such laws and regulations. If one of the Parties requests the other Party to provide information necessary for procedures for above cases, the requested Party shall provide the information immediately.

9.3. All parties assure that contributions (e.g. technology, know-how, goods, services, money) provided within the framework of this Agreement are exclusively used (or transferred) for non-military purposes, and shall not be used in any way for illegal surveillance or internal repression and/or to the commission of serious violations of human rights and international humanitarian law. None of the Parties shall use the results, goods, software, technical support, classified information and/or technologies, and duplications thereof, which have been obtained under this Contract; for any military purposes or any purposes

to disturb the international peace and security, including but not limited to the purposes of developing, manufacturing, using, or storing Weapons of Mass Destruction (nuclear weapons, chemical weapons, biological weapons, or missiles to transport such weapons) or conventional weapons. Nor shall any of the Parties provide them to any third party who, to the best of all Parties' knowledge, intends to use them for the aforementioned purposes.

10. Contact persons:

Contact at the FOUNDATION

Rusudan Jobava
LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia
M. Aleksidze st. 2nd, Lane №2, 0193, Tbilisi, Georgia
jobava@rustaveli.org.ge

Contact at FZJ:

Eva Portius
Corporate Development
Manager of International Relations
Forschungszentrum Jülich GmbH
D-52425 Jülich, Germany
e.portius@fz-juelich.de

Contact at HZDR:

Sandra Hamann
Programme Planning and International Projects
Helmholtz-Zentrum Dresden - Rossendorf e. V.
D-01328 Dresden, Germany
s.hamann@hzdr.de

Contact at GSI:

Pradeep Ghosh
Head International Cooperations
GSI Helmholtz-Zentrum für Schwerionenforschung GmbH –
D-64291 Darmstadt, Germany
Pr.Ghosh@gsi.de; International@gsi.de

Tbilisi, 5/12/2023

For LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)



Prof. Dr. Teimuraz Dochviri

Director General


For German Centers:

For Forschungszentrum Jülich GmbH



ppa. Dr. Norbert Drewes

Head of Corporate Development



Dr. Ir. Pieter Jansens

Member of the Board of Directors

For Helmholtz-Zentrum Dresden-Rossendorf e.V.



Dr. Diana Stiller


Administrative Director HZDR



Prof. Dr. Dr. h. c. mult. Sebastian M. Schmidt

Scientific Director HZDR

For GSI Helmholtz-Zentrum für Schwerionenforschung GmbH



Joerg Blaurock

Technical Managing Director GSI



Prof. Dr. Paolo Giubellino

Scientific Managing Director GSI



შეთანხმება

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა (ფონდი)

და

ჰელმჰოლცის ცენტრს (გერმანია):

იულიხის კვლევითი ცენტრი (FZJ),

ჰელმჰოლცის დრეზდენ-როზენდორფის ცენტრი (HZDR), და

ჰელმჰოლცის მიმიხე იონის კვლევის ცენტრი (GSI)

შორის

**მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის საქართველო-გერმანიის ერთობლივად
დაფინანსებული პროგრამის შესახებ**

სსიპ- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა (შემდგომში – „ფონდი“) და იულიხის კვლევით ცენტრს შორის 2020 წლის ივლისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (i), 2022 წლის მაისში ჰელმჰოლცის დრეზდენ-როზენდორფის ცენტრსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმისა (ii) და 2023 წლის იანვარში ჰელმჰოლცის მიმიხე იონის კვლევის ცენტრსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (iii) საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომში გაგრძელებისა და განახლების თაობაზე. - „GGSB პროგრამა“.

1. ხელშეკრულების საგანი

მხარეები თანხმდებიან განახორციელონ ერთობლივი კვლევითი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე უზრუნველყოფს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან, თავისუფალი უნივერსიტეტიდან, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან (ჰელმჰოლცის ცენტრთან შეთანხმებით) წარდგენილი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტაჟირებას გერმანიაში.

სამართლებრივი საფუძველი:

- ურთიერთგაგების მემორანდუმი ჰელმჰოლცის დრეზდენ-როზენდორფის ცენტრს, ჰელმჰოლცის მძიმე იონის კვლევის ცენტრსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (MES, საქართველო) კვლევის, განათლებისა და ცოდნის გადაცემის თანამშრომლობის შესახებ (ხელმოწერილი თანმიმდევრობით 2022 წლის მაისში და 2023 წლის იანვარში) - დანართი 1 და დანართი 2;
- 2020 წლის აპრილის ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და იულიხის ცენტრს შორის „გრძელვადიანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის შესახებ ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში“ – დანართი 3;
- იულიხის კვლევით ცენტრსა და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის 2020 წლის ივლისის „კვლევის, განათლებისა და ცოდნის გადაცემის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი – დანართი 4.

2. პროგრამის მიზნები და ამოცანები:

2.1 პროგრამის მიზნებია:

- მიეცეთ ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა ესტუმრონ მსოფლიოში წამყვან გერმანულ კვლევით ცენტრებს (FZJ, HZDR, GSI) - გამოცდილების მისაღებად და წარმართონ უახლესი, მაღალი დონის კვლევები, როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მიმართულებით.
- ხელი შეუწყოს გერმანულ ცენტრებს, რათა საქართველოს უნივერსიტეტებიდან მოიზიდონ საუკეთესო სტუდენტები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის საჭირო კვლევების განახორციელებლად საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის.

სტაჟირებიდან საქართველოში დაბრუნების შემდგომ, გერმანიაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ქართველმა სტუდენტებმა გამოიყენონ და გაავრცელონ ადგილობრივ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში.

2.2 პროგრამის ამოცანები:

ფონდისა და გერმანული ცენტრების დაფინანსება ქართველ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შესაძლებლობას მისცემს, გერმანულ ცენტრებში სტაჟირების ფარგლებში განახორციელონ მათ სადიპლომო სადისერტაციო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებული კვლევები, ასევე

დაამყარონ გრძელვადიანი თანამშრომლობა ჰელმჰოლცისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრებისა თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან შემდეგ შეთანხმებულ კვლევით სფეროებში:

- ა) მათემატიკური მეცნიერებები;
- ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- დ) საინჟინრო მეცნიერებები;
- ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები.

2.3 პროგრამის სამიზნე ჯგუფები:

- 2.3.1 ბაკალავრის ხარისხის მქონე (ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები) **მაგისტრანტები**, წელიწადში არაუმეტეს **რვა** კანდიდატისა, რომლებიც ჩაატარებენ გერმანულ ცენტრებში ან გერმანულ უნივერსიტეტებში (რომლებიც თანამშრომლობენ ჰელმჰოლცის ასოცირებულ ცენტრებთან) სამაგისტრო დიპლომისთვის საჭირო კვლევას სამაგისტრო თეზისის მომზადება შეთანხმებული კვლევითი მიმართულებებით.
- 2.3.2 **დოქტორანტები**, წელიწადში არაუმეტეს **ექვსი** კანდიდატისა, რომელთაც აქვთ მაგისტრის ხარისხი (ან მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული ხარისხი) შეთანხმებული კვლევითი მიმართულებით, რომლებიც ჩაატარებენ გერმანულ ცენტრებში ან გერმანულ უნივერსიტეტებში (რომლებიც თანამშრომლობენ ჰელმჰოლცის ასოცირებულ ცენტრებთან) სადოქტორო პროგრამისთვის საჭირო კვლევას (სადოქტორო თეზისის მომზადება).
- 2.3.3 კანდიდატების რაოდენობა ხელშეკრულების ყველა პარტნიორს შორის იქნება შეთანხმებული კონკურსის გამოცხადებამდე.

3 შეთანხმების ხანგრძლივობა და ვადები:

- 3.1 შეთანხმება ძალაში შედის მისი ორმხრივი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2026 წლის 31 დეკემბრამდე.
- 3.2 მაგისტრანტისთვის გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს მისი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმს.
- 3.3 დოქტორანტისთვის გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3 წლამდე, მომდევნო 6 თვიანი გაგრძელების შესაძლებლობით. ვადის გაგრძელება შეთანხმებული უნდა იყოს ფონდსა და ჰელმჰოლცის ცენტრებს შორის და ეფუძნებოდეს შესაბამისი უნივერსიტეტის/კვლევითი ინსტიტუტის ოფიციალურ მოთხოვნას. სტაჟირების ვადის გაგრძელების შემთხვევაში ფონდი არ გასცემს დამატებით დაფინანსებას. ჰელმჰოლცის ცენტრებში კვლევითი სტაჟირების დრო არ უნდა იყოს წელიწადში 8 თვეზე ან/და სემესტრში 4 თვეზე ნაკლები.

4 დაფინანსება:

ფონდისა და გერმანიის ერთობლივი დაფინანსება მოიცავს:

- 4.1 მიზნობრივ საგრანტო დაფინანსებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3.1 და 2.3.2 ქვეპუნქტებში. განსაზღვრული ფიზიკური პირებისათვის; დაფინანსება ჯამში შეადგენს ყოველთვიურ თანხას. 934 ევროს მაგისტრანტებისთვის და 1468 ევროს დოქტორანტებისთვის და ფარავს ყოველდღიურ საცხოვრებელ ხარჯებს, სამედიცინო ჯანმრთელობის, სამსახურთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებისა და პერსონალური პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- 4.2 სამოგზაურო გრანტებს წინამდებარე შეთანხმების 2.3.1 და 2.3.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფიზიკური პირებისათვის და ითვალისწინებს:
 - ა) ევროკავშირის ფარგლებში წელიწადში ერთ მოგზაურობას სამაგისტრო/სადოქტორო თემასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო ღონისძიებაზე აქტივობაზე დასასწრებად;
 - ბ) წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის (ეკონომკლასის ბილეთით).
- 4.3 ყოველთვიური ანაზღაურების 50%-ს ფარავენ გერმანული ცენტრები და 50%-ს ფარავს ფონდი.
- 4.4 სამოგზაურო გრანტებს, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის ფარგლებში მგზავრობას, გასცემს ჰელმჰოლცის ცენტრები.
- 4.5 საქართველო-გერმანიას შორის მგზავრობას აფინანსებს ფონდი.

5 პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენის პროცედურა:

5.1 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტის, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტების (ჰელმძღვანელის ცენტრებთან შეთანხმებით) მიერ წარდგენილმა პროგრამაში მონაწილეობის კანდიდატმა, ფონდში უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადი ელექტრონულად და ბეჭდური სახით ინგლისურ და ქართულ ენებზე.

5.2 განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) შევსებულ განაცხადის ფორმას – თავფურცელს (ქართულად და ინგლისურად);

ბ) გერმანიის მომწვევი ინსტიტუტში გრანტის მამიებლის ხელმძღვანელის (დაწესებულების იურიდიული პირის) უფლებამოსილი პირის მხრიდან გაცემული ოფიციალურ მოწვევის წერილს (ინგლისური ვერსია);

გ) სარეკომენდაციო წერილს საქართველოდან გამგზავნ უნივერსიტეტში ხელმძღვანელისგან (ინგლისურად);

დ) განმცხადებლის ყველაზე მაღალი სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს (ქართულად, ნათარგმნს ინგლისურად ან გერმანულად);

ე) გერმანული და/ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ან შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს (ინგლისურად ან გერმანულად);

ვ) რეზიუმეს ტაბულარულ ფორმაში (CV in Tabular form ინგლისურად);

ზ) ნაშრომების სიას, სათაურების, თანაავტორობების, გამოქვეყნების ადგილის, თარიღისა და სხვა საჭირო დეტალების მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინგლისურად;

თ) კვლევის გეგმას (1–2 გვერდი ინგლისურად), რომელიც შეთანხმებულია გერმანიის მომწვევ ინსტიტუტთან და რომელიც დაბეჭდილია გერმანული ცენტრის ოფიციალურ ლოგოიან ფურცელზე და ხელმოწერილია აკადემიური ხელმძღვანელის მიერ გერმანული ცენტრიდან.

5.3 ფონდის მიერ მიიღება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადი. არასრულყოფილი განაცხადი არ განიხილება.

6 გრანტის გაცემის პროცედურები და ანგარიშგება:

6.1 ფონდში განაცხადების წარმოდგენის შემდეგ, ფონდი ამოწმებს დოკუმენტაციის შესაბამისობას ჩამონათვალთან. წინამდებარე შეთანხმების 5.2 ქვეპუნქტში მოთხოვნილი დოკუმენტების.

6.2 ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ფონდი სთხოვს განმცხადებელს 5 დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

- 6.3 ფონდი ადგენს შემოსული განაცხადების ერთიან სიას, რომელშიც შედის წინამდებარე შეთანხმების 5.1 პუნქტში მითითებული საქართველოს უნივერსიტეტების მიერ წარდგენილი კანდიდატურები (მაგისტრანტებისთვის და დოქტორანტებისთვის, წელიწადში მაქსიმუმ 8 მაგისტრანტი და 6 დოქტორანტი) და სრულ დოკუმენტაციასთან ერთად, ელ. ფოსტით აგზავნის განაცხადებს ჰელმჰოლცის ინსტიტუტში განსახილველად და დასამტკიცებლად.
- 6.4 საბოლოო გადაწყვეტილებას განაცხადების დამტკიცების თაობაზე იღებენ გერმანული ცენტრები.
- 6.5 გერმანიის მხრიდან მოწოდებული დამტკიცებული დოკუმენტების საფუძველზე, ფონდი აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს შესაბამის პირებთან (მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან) და აფინანსებს მიზნობრივ საგრანტო დაფინანსების ყოველთვიური გრანტის) ბიუჯეტის 50%-ს და წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის.
- 6.6 გრანტის მიმღები ახალგაზრდა მეცნიერი (მაგისტრანტი, დოქტორანტი) ანგარიშვალდებულია პროგრამის დასრულების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებიდან 21 დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს მოკლე მოხსენებითი ანგარიში (ფონდის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით) გაწეული საქმიანობის შესახებ და ფინანსური ანგარიში (პირველადი დოკუმენტები/ასლები) ფონდის მიერ მისი სამგზავრო ხარჯების დაფინანსების შემთხვევაში.
- 6.7 მოხსენებით ანგარიშ(ებ)თან ერთად, გრანტის მიმღებმა ამავე პერიოდში უნდა წარმოადგინოს გერმანიის მიმწვევ ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელის შეფასება მაგისტრანტის/დოქტორანტის მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ (ინგლისურ ენაზე).
- 6.8 თითოეულმა მხარემ უნდა უზურუნველყოს თავის პერსონალის უსაფრთხოება სოციალური უზრუნველყოფის, სამრეწველო უბედური შემთხვევისა და სამრეწველო დაავადებების სქემებთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, განახორციელოს მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში არსებული სათანადო ვალდებულებები.

მასპინძელი უნივერსიტეტის შენობებში ყოფნისას მოწვეული პერსონალი უნდა ექვემდებარებოდეს უსაფრთხოებისა და სხვა არადისციპლინურ წესებსა და რეგულაციებს, რომლებიც მოქმედებს მასპინძელი პარტნიორი. პერსონალმა უნდა დაიცვას მასპინძელი უნივერსიტეტის დანიშნული წარმომადგენლის მიერ მიცემული ტექნიკური ინსტრუქციები. მასპინძელ უნივერსიტეტს უფლება აქვს უარი თქვას ან ჩამოაშოროს თავისი შენობის ნებისმიერი პერსონალი, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს.

უხეში დაუდევრობის ან განზრახვის გარდა, თითოეული მხარე ანაზღაურებს საკუთარ დანაკარგს და პერსონალის გაცვლასთან დაკავშირებულ ზარალს აღნიშნული შეთანხმების მიხედვით. ასევე, არც ერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი სხვა მხარის წინაშე რაიმე არაპირდაპირი ან თანმიმდევრული დანაკარგის ან ზიანისთვის. ნებისმიერი პირის დაზიანების შემთხვევაში გამოიყენება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობა, რომელშიც მიყენებულია დაზიანება.

7 დამატებითი პირობები:

7.1 ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, მეორე მხარისათვის ოცდაათი (30) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, წინამდებარე მემორანდუმის ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით მხარეებს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი სადავო საკითხი გადაიჭრება მათ შორის მოლაპარაკებების გზით.

7.2. ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ინგლისურ და ოთხ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ყველა დოკუმენტს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

7.3 ხელშეკრულებაში ცვლილებები ან/და დამატებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რაც ხელშეკრულების არსებითი ნაწილია. ხელშეკრულების მხარეების რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, საკმარისია მხარის მიერ მეორე მხარისათვის მხოლოდ წერილობითი ცნობის გაგზავნა, რაც. შესაბამისად, არ საჭიროებს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

8 ფორსმაჟორი:

ხელშეკრულების პირობები ან რომელიმე მათგანი შეიძლება შეჩერდეს, შეიცვალოს ან გაუქმდეს ფორსმაჟორული გარემოებების გამო და ეს არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ან დარღვევად და, შესაბამისად, არ გამოიწვევს ხელშეკრულების მხარეების პასუხისმგებლობას.

9 ექსპორტის კონტროლი და PEACE პუნქტი

9.1 წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა საქმიანობა განხორციელდება ექსპორტის კანონმდებლობის მოქმედი ეროვნული, ევროპული, აშშ-ამერიკული და საერთაშორისო დებულებების შესაბამისად, ემბარგოების და/ან სხვა სანქციების ჩათვლით.

9.2 საქონლის, პროგრამული უზრუნველყოფის, ტექნიკური მხარდაჭერის, საიდუმლო ინფორმაციის და/ან ტექნოლოგიების გადაცემისას, თითოეულმა მხარემ სრულად უნდა იხელმძღვანელოს ექსპორტის კონტროლის მოქმედი ეროვნულ კანონებითა და რეგულაციებით (გერმანია და საქართველო), აგრეთვე ევროპულ და საერთაშორისო ექსპორტის კონტროლის სხვა მოქმედი კანონებით საჭიროებისამებრ არსებული სათანადო თანხმობის მიღების შედეგად. თუ ერთ-ერთი მხარე მეორე მხარისგან მოითხოვს, მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ზემოაღნიშნული შემთხვევების პროცედურებისთვის, მოთხოვნის მიმღები მხარე დაუყოვნებლივ მიაწვდის ინფორმაციას.

9.3 ყველა მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მოწოდებული რესურსები (მაგ. ტექნოლოგია, ნოუ-ჰაუ, საქონელი, მომსახურება, ფული) ექსკლუზიურად გამოიყენება (ან გადაცემულია) არასამხედრო მიზნებისთვის. ასევე, არავითარ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული უკანონო თვალთვალისთვის, შინაგანი რეპრესიების და/ან ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმღე დარღვევების ჩადენის მიზნით. არცერთი მხარე არ გამოიყენებს ამ ხელშეკრულების ფარგლებში მოპოვებულ შედეგებს, საქონელს, პროგრამულ უზრუნველყოფას, ტექნიკურ მხარდაჭერას, საიდუმლო ინფორმაციას და/ან ტექნოლოგიებს და მათ დუბლირებას; ნებისმიერი სამხედრო მიზნებისთვის ან საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დარღვევის მიზნით, მათ შორის, მასობრივი განადგურების იარაღის (ბირთვული იარაღი, ქიმიური იარაღი, ბიოლოგიური იარაღი ან რაკეტები) განვითარების, წარმოების, გამოყენების ან შენახვის მიზნებისთვის. არც ერთმა მხარემ არ უნდა მიაწოდოს ისინი მესამე მხარეს, რომელიც, ყველა მხარის ცოდნით, აპირებს მათ გამოყენებას ზემოაღნიშნული მიზნებისთვის.

10 საკონტაქტო პირები:

ფონდის მხრიდან:

რუსუდან ჯობავა

საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდის მოზიდვების სამსახურის უფროსი

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

მ. ალექსიძის ქ. მე-2 შესახვევი, N2 0193, თბილისი, საქართველო

jobava@rustaveli.org.ge

იულიხის მხრიდან:

ევა პორტიუსი

კორპორაციული განვითარება

საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი

იულიხის კვლევითი ცენტრი

D-52425 იულიხი, გერმანია

e.portius@fz-juelich.de

დრეზდენ-როზენდორფის ცენტრის მხრიდან:

სანდრა ჰამანი

პროგრამის გეგმა და საერთაშორისო პროექტები

დრეზდენ-როზენდორფის ჰელმჰოლც ცენტი

D-01328 დრეზდენი, გერმანია

s.hamann@hzdr.de

მძიმე იონის კვლევის ცენტრის მხრიდან:

პრადიპ გოში

საერთაშორისო თანამშრომლობის უფროსი


ჰელმჰოლცის მძიმე იონის კვლევის ცენტრი

D-64291 დარმშტადტი, გერმანია

Pr.Ghosh@gsi.de; International@gsi.de


თბილისი, 5/12/2023


სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი


თეიმურაზ დოჭვირი
გენერალური დირექტორი

გერმანული ცენტრები:


იულიხის კვლევითი ცენტრი


ნორბერტ დრევსი
კორპორაციული განვითარების უფროსი



პიეტერ იანსენსი
დირექტორთა საბჭოს წევრი


ჰელმჰოლცის დრეზდენ-როზენდორფის ცენტრი


დიაანა სტილერი
ადმინისტრაციული დირექტორი


სებასტიან შმიდტი
სამეცნიერო დირექტორი

ჰელმჰოლცის მძიმე იონის კვლევის ცენტრი


იორგ ზლაუროკი
ტექნიკური მმართველი დირექტორი


პაოლო გიბელინო
სამეცნიერო მმართველი დირექტორი